ხელშეკრულება

ქ. თბილისი, 3 იანვარი 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ს/ს "კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი" ჩაჩავას 5 თი ბი სი ბანკი, ბ/კ №220101830, ა/ა 19467559, ს/კ 202051689. მისი დირექტორის ლაშა კალმახელიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"),

შ.პ.ს „ვოლდმედი" (ქ. თბილისი ვანი ქ. №4) ს.ს. „პროკრედიტ ბანკი ც/ფ",. ბ/კ 220101922. ა/ა 360201013257 ს/კ 202455128 მისი დირექტორი სოფიო ბერეკაშვილი სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე.

2. ხელშეკრულების საგანი.

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვაზე და წარმოებს ერთ პირთან მოლაპარაკების წესით;

2.2. **ერთჯერადი სამედიცინო მოხმარების საგნების** შესყიდვა;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის საერთო ღირებულებაა 26000 (ოცდაექვსიათასი). ლარი;

4. შეფუთვა

აღნიშნული ხელშეკრულებით შეფუთვის მომსახურება გამოყენებული იქნება.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ჩაჩავას ქ. №5.

5.2. საქონლის სრული მიწოდება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს **2011 წლის 31 დეკემბრამდე.**

5.3. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

5.3.1. მიმწოდებლის ანგარიშ-ფაქტურების საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

5.3.2. მწარმოებლის ან მიმწოდებლის საგარანტიო (ხარისხის) სერთიფიკატი შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

5.3.3. შესაბამისი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვებისა და ლიცენზიების ასლები შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენა საქონლის დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

6. თანმდევი მომსახურება

აღნიშნული ხელშეკრულებით თანმდევი მომსახურება გამოყენებული არ იქნება.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება წარმოებს ერთჯერადად, ან ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტებით.

7.2. მიღება-ჩაბარების თითოეული ეტაპის წინ განხორციელდება მოწოდებული საქონლის საბოლოო შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - მის მიერ უფლებამოსილი პირი.

8. საქონლის ვარგისიანობის ვადა (გარანტია)

8.1. გარანტიის მოქმედების (ვარგისიანობის) ვადა განისაზღვრება არანაკლებ 70%-სა საქონლის მოწოდების მომენტიდან ან სამკურნალო საშუალების მოქმედების ვადის დასრულებამდე, იმისდა მიხედვით თუ რომელი უფრო გვიან დგება.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია გარანტიის მოქმედების პერიოდში მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 10 დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საქონლის მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 50 კალენდარული დღისა.

9.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ანგარიშფაქტურების ასლები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით.

9.3. ანგარიშსწორება იწარმოებს: ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

10. ფასები

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის (შესყიდვის ობიექტის ღირებულების) შეცვლა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდება წარმოდგენილი ერთეულის ფასის შემცირება;

ბ) გაიზრდება ხელშეკრულების საგნის მოცულობა და ხელშეკრულების ღირებულება დაფიქსირდება მიმწოდებლის წარმოდგენილი ერთეულის ფასის შესაბამისად.

გ) შემსყიდველის მიერ მოსახლეობის მიმართ სამედიცინო მომსახურების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მოცულობის (მათ შორის პაციენტთა მომართვიანობის) შემცირების შემთხვევაში, შემცირდება ხელშეკრულების საგნის მოცულობა და ხელშეკრულების საერთო ღირებულება დაფიქსირდება მიმწოდებლის წარმოდგენილი ერთეულის ფასის შესაბამისად;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე ეროვნული ვალუტის ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5%-ით ცვლილების შემთხვევაში (როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში)

11. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-16 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;

11.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის მე-9 პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების გარდა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარეები ვალდებულნი არიან იმოქმედონ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

13. დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული) გარემოებები

13.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებები, რომლის წარმოშობა არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

13.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებათ ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

13.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

13.4. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

13.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

13.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულების 15.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, მინიმუმ 20 სამუშაო დღით ადრე.

14.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი უტენხმოებები უპირატესად უნდა გადაწყდეს ორივე მხარის ურთიერთ მოლაპარაკების გზით.

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მახარეთა შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმება (დავა) გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

16.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს და საქმიან რეპუტაციას.

16.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

16.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან" და „მიმწოდებელთან".

16.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

17. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები.

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანამაბრი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, თითოეული ეგზეპლიარი გადაეცა მხარეებს.

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელის მოწერიდან და შესაბამისი ვალდებულების დარეგისტრირების შემდგომ.

17.2. ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს **2011 წლის 31 დეკემბრამდე**.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
ს/ს "კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი" ჩაჩავას 5 თი ბი სი ბანკი, ბ/კ №220101830, ა/ა 19467559, ს/კ 202051689	**შ.პ.ს „გოლდმედი"** (ქ. თბილისი ვანი ქ. №4) ს.ს. „პროკრედიტ ბანკი ცბ/ფ".. ბ/კ 220101922. ა/ა 360201013257 ს/კ 202455128
დირექტორი კ. კალმახელიძე	დირექტორი ს. [illegible]